ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №150/ბ

თბილისი „...21....." „.....03....."2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ავერსი–გეოფარმი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გია ჩიგოგიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის საჭიროებისათვის მედიკამენტების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება - ფარმაცევტული პროდუქტები–33600000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 432,88 (ოთხასოცდათორმეტი ლარი და 88 თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება დანართი #1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 8 აპრილის ჩათვლით, „მიმწოდებლის" სააფთიაქო ქსელიდან, მისამართი: ქ. ქუთაისი, მარი ბროსეს ქ. #20/22

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3. ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებულ დოკუმენტების და 15.1. პუნქტში აღნიშნული კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი მოთხოვნის შესაბამისად და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.2. მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარ სააფთიაქო ქსელებს ხელშეკრულების პირობების შესახებ.
7.1.3. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.1.6. შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი, რომლის ვარგისიანობის ვადა იქნება არანაკლებ 80%-ისა
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან , ხოლო ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის უფროსი თენგიზ დავითულიანი.

15.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

15.2.1. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და„მიღება-ჩაბარების აქტის" გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 20 მაისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან" ორი ეგზემპლარი – ,,შემსყიდველთან"

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"	შპს „ავერსი–გეოფარმი"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №11
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს„საქართველოს ბანკი"
კოდი № TRESGE22	ცენტრალური ფილიალი
ა/ა № 200122900	კოდი № BAGAGE22
ს/კ № 202465153	ა/ა № 866022700
	ს/კ № 203834075
თამარ მახარაშვილი	გია ჩიგოგიძე
დირექტორი	დირექტორი

დანართი #1

#	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ანალგინი 0.5გ #10ტ (დარნიცა)	ც	5	0,50	2,50
2	ანტიპარკინი 25მგ/250მგ #50ტ	ც	2	20,25	40,50
3	ბისაკოდილი 0.005გ #30ტ (ბულგ)	ც	1	1,75	1,75
4	ბისეპტოლი 480მგ #20ტ	ც	1	6,05	6,05
5	გალაზოლინი 0.1% 10მლ #1ფლ	ც	2	2,95	5,90
6	დიკლო ფეროლი 50მგ #20ტ	ც	2	5,65	11,30
7	დიკლობერლ N 75მგ/3მლ #5ა	ც	2	9,85	19,70
8	ვალერიანი პიტნით #40ტ	ც	2	1,65	3,30
9	ვენტოლინი 0.1მგ/200დოზ. აეროზ.	ც	2	7,75	15,50
10	კეტონალი რეტარდი 150მგ #20ტ	ც	1	7,20	7,20
11	კოფეინი ნ/ბ 0.2გ #10ტ	ც	3	1,75	5,25
12	კოფეინი ნ/ბ 10% 1მლ #10ა(დარნ)	ც	1	1,55	1,55
13	ლაზოლვანი 30მგ #50ტ	ც	1	16,45	16,45
14	ლაქტო-G #10კაფს GMP	ც	2	9,05	18,10
15	ლიდოკაინი 2% 2მლ #10ა (თბ)	ც	1	0,95	0,95
16	მიდოკალმი 150მგ #30დრ	ც	2	13,05	26,10
17	მილდრონატი 250მგ #40კაფს	ც	2	15,29	30,58
18	ნო-შპა 40მგ #100ტ	ც	1	9,25	9,25
19	ნო-შპა 40მგ/2მლ #25ა	ც	1	20,70	20,70
20	ნოოტროპილი 800მგ #30ტ	ც	2	14,55	29,10
21	პანანგინი #50ტ	ც	1	7,20	7,20
22	რაციოცეფი ავერსი 1გ ფლ	ც	10	3,95	39,50
23	რეჰიდრონი 18.9გ #20პაკ.ფხვნილი	ც	1	34,40	34,40
24	რიბოქსინი 0.2გ #50ტ	ც	2	1,65	3,30
25	სენადე #20ტ	ც	10	1,20	12,00
26	სუპრასტინი 25მგ #20ტ	ც	2	7,30	14,60
27	ტავეგილი 1მგ #20ტ	ც	1	8,35	8,35
28	ტაუფონი 4% 5მლ #3ფლ	ც	3	1,70	5,10
29	ფასტუმ გელი 2.5% 30გ ტუბ	ც	2	7,25	14,50
30	ცინარიზინი 25მგ #50ტ (სოფარმა)	ც	2	0,40	0,80
31	ციპრინოლი 500მგ #10ტ	ც	2	8,80	17,60
32	ციტრამონი #6ტ (დარნიცა)	ც	10	0,30	3,00
33	წყალი საინექციო 2მლ #10ა (თბ)	ც	1	0,80	0,80
				სულ:	**432,88**

სსიპ "სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"-ს
დირექტორი

თ. მახარაშვილი.....

შპს „ავერსიგეოფარმი"-ს
დირექტორი

გ. ჩიგოგიძე.....